თამთა ბოკუჩავა
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

2023 წლის თურქეთის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები

საკვანძო სიტყვები: *სამართლიანობისა და განვითარების პარტია, საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები, რეჯეფ ტაიპ ერდოღანი, საკონსტიტუციო ცვლილებები, ოპოზიციური პარტიები.*

2023 წლის 14 მაისს, თურქეთში საპრეზიდენტო და საპალამენტო არჩევნები გაიმართა. საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება მმართველმა სამართლიანობისა და განვითარების პარტიის (AKP) კოალიცია, სახალხო ალიანსმა მოიპოვა. საპრეზიდენტო არჩევნებში, თურქეთის მოქმედ პრეზიდენტს, რეჯეფ ტაიპ ერდოღანს არ ეყო ხმების რაოდენობა, რათა ერთპიროვნული გამარჯვება გამოეცხადებინა. 2023 წლის 28 მაისს გაიმართა საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური, სადაც ერთმანეთ ერდოღანი და მთავარი ოპოზიციური კოალიციის ლიდერი ქემალ ქილიჩდაროღლუ დაუპირისპირდნენ. ერდოღანმა მცირე სხვაობით აჯობა თავის მოწინააღმდეგეს და 52%-ით თურქეთის პრეზიდენტის პოსტი შეინარჩუნა შემდეგი ხუთი წლის ვადით. ამომრჩეველთა აქტივობა საკმაოდ მაღალი იყო, 87% 14 მაისს, თუმცა შედარებით დაეცა 28 მაისისთვის 84%-ზე. სახალხო ალიანსმა 323 სკამო მოიპოვა 600-დან. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წელთან შედარებით მათ საერთო ჯამში პარლამენტში 21 ადგილი დაკარგეს. 2023 წლის არჩევნები რამდენიმე მნიშვნელოვანი მახასიათებლით გამოირჩეოდა. 1980-იანი წლებიდან მოყოლებული, პირველად მოხდა გადასალახავი ბარიერის დაწევა 10%-იდან 7%-მდე დაწევა. პირველად გაიმართა აგრეთვე მეორე ტურიც საპრეზიდენტო არჩევნებში. მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო აგრეთვე თურქეთის რესპუბლიკის 100 წლისთავიც.

2023 წლის არჩევნები თურქეთისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო ქვეყნის საშინაო და საგარეო კურსის განსაზღვრისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ დიდი მოლოდინები იყო ოპოზიციის გამარჯვებისათვის, რასაც წინასაარჩევნო გამოკითხვებიც უწყობდა ხელს. ერდოღანის ხელისუფლებაში დარჩენით ნათელი ხდება, რომ ახალი მინისტრთა კაბინეტის და რეგიონული იზოლაციიდან თავის დაღწევის მდელობების მიუხედავად, თურქეთის საშინაო, ისევე როგორც საგარეო პოლიტიკა დიდწილად უცვლელი დარჩება. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ერდოღანისათვის 2023 წლის საპრეზიდენტო არჩევნები როგით მესამე გამარჯვებაა. 2023 წლის 30 მარტს, თურქეთის უმაღლესმა სააღევნო საბჭომ გამოაქვეყნა დასკვნა, რომლის მიხედვითაც, ერდოღანის 2014 წლის საპრეზიდენტო ვადა ბათილად გამოცხადდა, რადგან ის 2017 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებამდე იყო. შესაბამისად, მიმდინარე ხუთი წელი

რეჯეფ ტაიპ ერდოღანისათვის სამართლებრივად მხოლოდ მეორე ვადაა. პოტენციურად მას შეუძლია კიდევ ერთი ვადით არჩევა, იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტის ორი მესამედი ვადამდელ არჩევნებს მოითხოვს.

2017 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების მიხედვით, საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები თურქეთში ერთდროულად, ხუთ წელიწადსი ერთხელ უნდა ჩატარდეს. თავდაპირვეად არჩევნბი 18 ივნისისთვის იყო დაგეგმილი, მაგრამ თებერვალში მომხდარი მიწისძვრის შემდეგ, რომელმაც თურქეთში 50 000 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ხოლო 100 000-ზე მეტი დააზარალა, იყო მოსაზრება, რომ არჩევნები შეიძლება გადადებულიყო. ერდოღანმა, 10 მარტის გამოსვლაში უარყო არსებული სპეკულაციები არჩევნების გადადებასთან დაკავშირებით და მათი ადრე, 14 მაისს ჩატარების მიზეზად საზაფხულო არდადეგები, უნივერსიტეტის გამოცდები და ჰაჯი დაასახელა, რომლებსაც პოტენციურად შეეძლოთ ხელი შეეშალათ ამომრჩევლებისათვის მოქალაქეობრივი ვალის მოხდაში.

საკონსტიტუციო ცვლილებებმა თურქულ პოლიტიკურ სივრცეში კოალიციების შექმნის აუცილებლობა გამოიწვია. 2023 წლის არჩევნებში მონაწილეობას სამი კოალიცია იღებდა. სახალხო ალიანსი, რომელსაც სათავეში თურქეთის მმართველი სამართლიანობისა და განვითარების პარტია უდგას და ნაციონალური მოძრაობის პარტიასთან ერთად (MHP), დიდი ერტობის პარტიასა (BBP) და ახალი კეთილდრეობის პარტიას (YRP) აერთიანებს. ნაციონალური ალიანსი ექვს პარტიას აერთიანებს, რომლებიც საკმაოდ განსხვავებულები არიან თავიანთი პოლიტიკური ხედვებით. კოალიციის ლედერები სახალხო-რესპუბლიკური პარტიაა (CHP) კარგ პარტიასთან (İYİ) ერთად. მასში ასევე შედიან ბედნიერების პარტია (Saadet), დემოკრატიული პარტია (DP), დემოკრატიისა და პროგრესის პარტია (DEVA) და მომავლის პარტია (GP).

პროქურთული სახალხო-დემოკრაატიული პარტია (HDP) 2023 წლის არჩევნებში მონაწილეობას ხალხთა თანასწორობისა და დემოკრატიის პარტიის (HEDEP) სიებით იღებდა. „ერდოღანის რეჟიმის მიერ, პოლიტიკურად მოტივირებული პარტიის დახურვის საქმე, ხელს უშლის ჩვენს მონაწილეობას არჩევნებში. ამ იურიდიული ლაბირინთისა და დახურვის რისკისგან თავის დასაღწევად, HDP-მ გადაწყვიტა 14 მაისს არჩევნებში მონაწილეობა მიეღო მწვანე მემარცხენე პარტიის (იგივე HEDEP) ქვეშ.“ - ეწერა HDP-ის ოფიცილურ განცხადებაში. HDP, სხვა მემარცხენე პარტიებთან ერთად, 2023 წლის არჩევნებში მონაწილეობას იღებდა შრომისა და თავისუფლების კოალიციის ფარგლებში.

ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ ხელისუფლების კრიტიკის მიუხედავად, ოპოზიციური პარტიების დიდი ნაწილისათვის მთლიანად გასაგები და მისაღებია თურქეთის დღევანდელი საგარეო პოლიტიკური კურსი. მცირე დეტალური განსხვავებები გარდა, ოპოზიციური პარტიები მხარს უჭერენ თურქეთის პოზიციებს აშშ-სთან და ნატოსთან მიმართებაში, იზიარებენ აგრეთვე ხელისუფლების პოზიციებს სირიის საკითხთან (HDP-ს გარდა), ხმელთაშუაზღვის, კვიპროსის საკითხებთან დაკავშირებითაც. ექსპერტთა აზრით, ოპოზიციურმა კოალიციებმა ვერ შეძლეს ამომრჩევლების დარწმუნება, რომ კოალიციური მთავრობა შეძლებდა თურქეთის ინტერესების გატარებას საერთაშორისო არენაზე, ამავე დროს მართავდა ქვეყანას თანმიმდევრულად.